პროლეტარიატო ყველაფერ ეროვნულისა, შეიერთოდით!

ცოცხალი

წელიწადი მესამე

ფასი ოქრო შაური

№ 32 | კვირა, 17 იანვარი, 1926 წელი. | № 32

პროტექციის „ბარათები"

ოფერება ბარათი ფანქრითა, თუ ლალვითა, —
აწყება და ოფდება ხახელითა და ხალვითა.

„თუ კაცი ბარ, ეს კაცი... კაცი ბრძენ ნაფდალი, —
კ. გეკნება, ბიეცი ბან რაიმე ადგილი".

კრიზისების გრიგალი

ევროპის მზე ჩადის... კრიზისების ქარი შეუწყვეტლივ დაქრის ევროპის ყველა ქვეყნებში.. ყველგან დეფიციტი. ფრანკი ეცემა... ზლოტი ეცემა... ვენგრია ტრილიონობით ყალბ ფრანკებს უშვებს გაკოტრების ასაცდენად... ამერიკა ვალებს თხოულობს და სულთამხუთავივით ადგია თავზე მთელ ევროპას...

(გაზეთებიდან).

საღამო ნაადრევი...
ჩადის მზე მთების იქით.
ევროპა მომაკვდავი
დამძიმებულ ფიქრით...

გასაქარის მწარეთ სიერცეს
თვალები შეუჩამქრალი...
ქუჩებში სუსხიანი
დაქრის ზმუილით ქარი...

გააქვთ ბლიკინი ფანჯრებს,
კარებს და სახურავებს...
და აკანკალებთ ტანში
იატაკის ქვეშ ძაღლებს.

დოლია... მწარე დოლი...
პირველი ვინ იქნება?..
გვირგვინი კი მთას იქით
სადღაც წყვდიადში ქრება.

სხდომები... ტელეგრაფი
ყვება ძველისძველ იგავს...
გზაჯვარედინზე ოქმით
დამდგარა ერთა ლიგა.

განწირულ ქვეყნის შველას
და გადარჩენას ჩემობს
ქარის გრიალი მძლავრი
სურს ალთით შეაჩეროს.

ეს იყო—ძველი ფრანკი
და ახალგაზრდა ზლოტი,
უდროოდ დანგრეული
აღმოსავლეთის ფორტი.

ძლივას ბრუნდება პირში
ქვითინისაგან ენა...
იკითხეს ერთმანეთის
გაჭირვება და ლხენა.

ქარია... ქარი მძლავრი
სადღაც შორს რაღაც იწვის...
— ას შვე'ი, ქალო ჩ' ,
გაზრდილო ასე სიმწრით!..

ამ წყვდიად, სასტიკ ღამეს,
ქუჩაში აქ რა გინდა?..
შენ რას გაუძლებ ამ ქარს,
როცა მიათრევს ლიგას!..

რას დაყრდნობიხარ მაგ ჯოხს,
რად ლაგკარგვია ფერი?..
უდარდელ ცხოვრებისთვის
მოგეცი ყველაფერი!..

— კარგია, დედაჩემო,
შენგვარი დედის ყოლა...
მხოლოდ გადავყევ თითქმის
შენს ნაჩუქარის მოვლას!..



გრიალებს ქარი... მიჰქრის...
მიქრიან გვირგვინები.
სდევენ პრინცები უკან
ვედრებით და გინებით.

ეს იყვნენ: ძველი ფრანკი
და ახალგაზრდა ზლოტი...
უდროოდ დანგრეული
აღმოსავლეთის ფრონტი.

ქედლებს მიუვალს უწინ
ქარი გიეივით ახტის,
და ყირავდება სადღაც
ვიღაც უიღბლოს ტახტი...

სადღაც ინგრევა რაღაც...
კაკანობს ტყვიისმფრქვევი.
ტანკები ხნავენ მიწას
და ცეცხლი ზევით... ქვევით...

არ შველის ელექტრონი.
როგორც საფლავში ბნელა.—
ღრუბლებში ჯვარის ნაცვლად
დაცურავს სახრჩობელა.

ბომბების ხათქი-ხუთქი.
მხეცის ღრიალი ავი.
და ობლად მიგდებულის
ხრიალი მომაკვდავის...

გრიალებს ქარი... მიქრის...
მიქრიან გვირგვინები.—
სდევენ პრინცები უკან
ვედრებით და გინებით...

მაგრ ! ვერ უძლებს ფეხი,
წევს იალქნობას კოთა;
სულ ცოტა... და თვით ლიგას
გადაისროლის ცხრა მთას...

ქარია სუსხიანი,—
ყმუიან მწარეთ მგლები,—
და ქრიან ფოთლებივით,
ტახტები... გვირგვინები...

ელექტროს დამპალ ბოძთან
შეხვდნენ ისინი ორი:
ერთი მეორის ღირსი,
ერთი მეორის სწორი.

დედა ძლივსა დგას ფეხზე
ქარისგან თმა აშლილი,
მოათრევს ოჩაფეხებს
ერთ დროს ზამაცი შვილი.

მოხრიათ საკოდავათ
ზარბაზნების ქიქშ წილი...
შემოცვეთიათ ტანზე
ძვირფასი სამოსელი.

თოფებს და ბრონეევიკებს
სჭირია დიდი ხალხი,
და მას ხომ, საყვარელო,
მე თვითონ ვინახავდი.

იქ ამბოხება, ჯახყი...
აქ აფეთქება კიდევ...
და საზღვრებს, შენაც იცი,
აღარც კი უჩანს კიდე...

შინ სენი საშინელი,
ჭირიკით მოარული,
და მეზობლები კიდევ
შურიანი და კრულნი!..

ეხლა დაევეძებ მოგვანს,
იქნებ კვლავ რამე მენდოს,
იქნება თავის ფრთებს ქვეშ
ამალამ შემიკედლოს...

სესხი, და მხოლოდ სესხი.
თუ გადამარჩენს დედი...
ახ, რატომ... რატომ დამყვა
თავიდან მე ეს ბედი?!.

ო, რა ქარია... სუსხი...
ო, რა რიგ ცივა მართლა!..
შენ კი, დედილო ჩემო,
შენ რაღა დაგემართა?..

ვიღაცა პრემიერის
მიქრის ჰაერში ფრაკი...
და ატირდება უცბად
უწინ ძლიერი ფრანკი:

როგორ ვასწავლო ჭკუა
შორს უდაბნოში დრუზებს,
ასე უდროოდ, უცბათ
თავში კეტი რომ მდრუზეს...

პრემიერების ძებნამ
გამხადა შვილო ავათ...
შინ და გარეშე სესხმა
მომკლა და გამათავა.

ყალბ ათასიან ფრანკთა
ტრილიონები ცვივა...
და ფრანკს გაცრეცილს ისეც
როგორც საფლავში ცივა...

ქარი კი დაგრიალობს...
მიქრიან ფრანკი... ზლოტი...
ეშმაკი მუსოლინი
ჩასჭიდებია „ზონტიკს“.



ლოცულობს პაპთან ერდათ...
მიჰქრის და არა ცხრება...
ჭგონია: გადარჩება
მიწაზე დანარცხებას.



უკვე აღძრული მადით
ხარხარებს დაუესი.
ცოტა და... აეგება
გაფცქვნილ ევროპას წესი.

— ხედავ, მიმსხვერპლა, შვილო,
მეც ამ წყეულმა ქარმა...
ვალებმა უამრავმა
იმედი გამიქარვა.

თან საზღვრებს აღმოსავლით
ვერ ვხედავ რაღაც მაგრათ...
გრიგალი ესე მწარე
იქიდან მოჰქრის ალბათ!..

მიმაფრენს... დამისუსტდენ
უწინ მაგარი მკლავნი...
არ მშველის საფინანსოს
ვერც ერთ მინისტრის პლანი...

მანქანები და ბეჭდვა...
გავლდი მისახვედრ ციფრებს...
რომელ ერთს გაუმაგრდე
ვალებს, თუ ველურ რიფებს?..

გზა კი ერთია... ერთი...
ამერიკა და... ქუჩა!..
ნუთუ ოცნება ესე
კვალად ჩაივლის ფუჭად...

და ფრანკი ზეცას უცქერს,
იქ კი რა რიგად ბნელა...
ღრუბლებში ქრისტეს ნაცვლად
დაცურავს საჩრჩობელა...

სტირიან დედა-შვილი;
აოსაიდან სჩანს შველა...
თავიანთ სოროებში
დროზე შემძვრალა ყველა...

ვიღაც ხრიალებს... თითქოს
ამოშრობია ყრონტი...
დაძრ წიან სიბნელეში
ვინდიშგრეცი და ხორტი.

ლოცულობს პაპთან ერთად,
მიქრის და არა ცხრება...
გონია გადარჩება
მიწაზე დანარცხებას...

ბნელა... არ უჩანს ბოლო
თხრილებს და ღრმა ორმოებს.
შორიდან ვიღაც ხარბათ
დაცქერის მიდამოებს.

უკვე აღძრული მადით
ხარხარებს დაუესი.
ცოტა და... აეგება
გაფცქვნილ ევროპას წესი...

გრიგალი დაფარფაშობს...
ყმუიან მწარეთ მგლები...
და ქრიან ფოთლებივით
ტახტები... გვირგვინები!..

ხინემატო:

„ბოჭი“

ახალ წლის წინა დღით დავინახე ვანო.

მართალი უნდა გითხრათ: ქუჩაში მისი დანახვა ჩვეულებრივი თვალით არც ისე ადვილია, რადგან ვანო მეტად პატარა კაცია.

როცა იგი სდგას და ლაპარაკობს, ამხანაგები ხშირად ახელებენ:

— ზრდილობა იქონიე, ადექი და ისე გამელაპარაკეო...

რა მისი ბრალია, რომ იგი ღმერთს თუ მშობლებს ასე პატარა გაუჩენია. ამისათვის ვანო საყვედურს არავის ეუბნება; პირიქით, მადლობელიც არის, რადგან ამ სიძვირის და ხელფასის სიმცირის დროს, სხვებზე უფრო ადვილად ახერხებს ტანსაცმელის შეკერვას... და ამიტომაც სხვებზე უკეთესად აცვია.

ჰო-და ეს პატარა ვანო მე დავინახე, როცა მას ბაზარში გოჭი ეყიდა და სახლში მიჰქონდა.

რასაკვირველია: მე მას ვერ დავინახავდი, რომ ჩემი ყურთა-სმენა არ მიეპყრო გოჭის ჭყვირილს... არა მარტო მე,—მთელმა ქუჩამ დაინახა ვანო.

ცოცხალი გოჭი, რომელიც ალბად გრძნობდა სიცოცხლის დასასრულს ძველ წელთან ერთად, ისე ღრიალებდა, რომ ამ ჩვენ ვანოს მთვრალ კაცსავით ხან იქ მიანარცხებდა და ხან ქ.

— ყოჩაღად იყავი, არ წაგაქციოს; თუმცა თანატოლი ხართ, მაგრამ ნუ გეშინია—ამხნევებდენ გამვლელები ვანოს, რომელიც ისე დაქანცულიყო ამ თანაბარ ბრძოლაში, რომ კინაღამ გაუშვა გოჭს ხელი, რათა ამ ხალხის წინაშე სირცხვილი არ ეჭამა—არ დამარცხებულიყო.

მაგრამ ვანო მართლაც ყოჩაღად იყო: გოჭს თავი უკერა უბეში, საიდანაც შემდეგ მოისმოდა გოჭის ყრუ და ნელი ხვნეშა, როგორც ეს დამარცხებულთ სჩვევიათ.

— აგაშენა ღმერთმა... ხვალ ვანოს სტუმარი ვარ... გიყვარდეს გოჭის ხორცი—გავიფიქრე და საპარიკმახეროში შევედი იქავე.

მეორე დღეს, მართლაც, ვესტუმრეთ ორი ამხანაგი. პატარა ვანომ ზრდილობიანად დიდი ბოდიში მოიხადა:

— ჩვენ, კაცო, ძველი სტილით ვითენებთ ახალ წელს... თუმცა მე დღეს მინდოდა, მაგრამ დედაჩემია სოფლიდან ჩამოსული, და არ დამანებეს.

ჩვენც აღარ შეგვიცდია დიდი ხანი და საჩქაროდ წამოვედით, რადგან სადმე უნდა „მიგვეჯახირებია“ (შევხვედროდით) ახალი წელი.

— საშიკო, შემარცხვინე კაცი... ყველამ გაითენა ახალი წელიწადი და შენ კი არ ჰქენი—უსაყვედურა ვანომ ცოლს.

— ამ ერთი ზოჭის მეტი არაფერი გაქვს,—და რით უნდა გაგეთენებია? ამ ზოჭს გამოზრდი, მას ზოჭები ეყოლება, ზოჭები დაღორდება და კიდევ ზოჭები ეყოლება... ღორის ჯოგი გვეყოლება; მომავალ ახალ წელს . ერთის მაგივრად სამს დაკლავ და ყველას პატივს ვსცემთ... ასე არ სჯობია?..

სიხარულისაგან ვანოს თვალები კინაღამ გადმოსცვივნდა.

— კი, მაგრამ, ჩვენ რომ ვამბობთ: ახალ წელს ძველი სტილით ვითენებთო, რომ ვინმე გვესტუმროს ძველი სტილით, მაშინ რას შვრები?!

— ვინც ძველი სტილით მოვა,—ბოდიშსაც არ მოვუხდი; ვეტყვი, რომ ჩვენ, როგორც ეს განათლებულ სალხშია, ახალი სტილით გავითენეთ.

— ყოჩაღ, საშიკო... ჭკუიანი ქალი ხარ... ვინ სთქვა, რომ ქალებს ჭკუა არა აქვსო?!.. აქვს კი არა მეტი... მაგრამ აქ ჭკუაზე უფრო ეშმაკობაა და ეშმაკობა კი, მართლაც, ქალებს ეშმაკებზე მეტი აქვს.

ძველ სტილზეც დავაპირეთ მისვლა.

მაგრამ როცა მივუახლოვდით, ვანოდან მომავალი ერთი ამხანაგი შეგვხდა.

— სად მიდიხართ?

— ვანოსთან.

— მე იქიდან მოვდივარ... იქ არაფერი არ არის, სადმე სხვაგან ვიაროთ... ვანოს ახალი სტილით გაუთენებია ახალი წელი.

— აი, დახე... ამ პატარა კაცში რამდენი ეშმაკობაა და მოხერხება. მიწაზე რომ დადის,—სამი იმდენი მიწის ქვეშ არის.

მეორე დღეს, როცა ვანო სამსახურში მოვიდა, გვისაყვედურა:

— არ გრცხვენიათ, ამხანაგებო, წუხელის შუაღამეზდი გელოდებოდით... აკი გითხარით ახალი სტილის ახალ წელს, ტომ მოსულიყავით ძველი სტილის ახალ წელს... მთელი ღამე, გათენებამდი ქეიფი მქონდა...

ჩვენც შევიფერეთ და უთხარით, თითქოს „თავი ვერ გამოვიშვით“ ერთს ოჯახიდან.

სამსახური თავდებოდა, როცა ვანო ჩემთან მოვიდა დაღონებული:

— კაცო, მართალია რომ ამბობენ: კავშირის წევრს უფლება არა აქვს უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინოსო?— შემეკითხა იგი.

— ვაჰ! მაშ ამდენს არ იცოდი?—მეც გაკვირვებით დავუდასტურე.

მიტრიალ-მოტრიალდა... ერთი ოთახიდან მეორეში გავიდა...

სამსახურის შემდეგ, როცა ქუჩაში გამოვედით, ვანომ მითხრა:

— რადგან ახალ წელს შენ ჩემს ოჯახში არ ყოფილხარ, თუ ძმა ხარ ხვალ საღამოს შენ და გერმანემ აუცილებლად გადმოიარეთ... სოფლიდან ერთი ცოცხალი ზოჭი ჩამომივიდა და თავი უნდა წავაძრო“.

თქვენ როგორ გგონიათ: მე უარს ვეტყოდი?! თქვენ არ მომიკვდეთ! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ზოჭის ხორცი მომიწევდა.

— საშიკო, ეშმაკი შეგპარვია ტანში საიდანაც... არ დაუჯერო მას, თუ არ გინდა, რომ კავშირიდანაც გამომაგდონ და სამსახურიდანაც.

— რა იყო? რა დაგემართა? რა გაიგე?

— კავშირის წევრს უფლება არ ჰქონებია უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინოს; გესმის: არ ჰქო...ნე...ბია... მაგი ზოჭი ჩვენ დაგვლუპავს... ეს რომ გაგვიგონ, რომ შენ ამ ზოჭიდან ღორის ჯოგი უნდა მოაშენო, ოცდაოთხი საათის განმავლობაში პანლურ ამომკრავენ კავშირიდან და სამსახურიდან... რატომ უნდა ვქნათ ეს? ზოჭს როგორ ვანაცვალოთ სამსახური?

წუხელის მართლაც ლაზათიანად ვიქეიფეთ ვანოსას და ამ დილით გათენებისას დავბრუნდით სახლში.

ვანომ დღეს გაითენა ახალი წელი.

საწყალი ვანო... საწყალი ზოჭი...

ჭინჭარი

რა საშინელი დადგა დროება!

რა საშინელი დადგა დროება,—
ეს ჩამოვსხმი, როგორც ტარანი.
გამოეთიშოვა სულს მყუდროება
დაწლეკილი გული სევდა, ვარამით.

როდესაც ჩავიდა სოფელში შარას
ეშიერ-მწყურვალი და ნაღელიანი,—
მისტეინენ როგორც სულელს, მასხარას
ბითეშოს არ ვიყო ადამიანი.



ეფრო უარესი დროენი მოდიან,
ბარგი არ მერის მე არაფერი;
დარდით ჩამოვსხმა, მთლად ფოფოდია
სულ დაეკარგა სახე და ფერი.



რა საშინელი დადგა დროება,
ეს ჩამოვსხმი, როგორც ტარანი.
მაინსოვს განცხრომა და მყუდროება,
და საქეიფოდ გლეხის მარანი.

ეჰო, ბედკრულო ცხოვრებავ ჩემო!
ო, ფოფოდია, მომეც ნუგეში.
გადამავიწყდა სიკეთის გემო,
ეხლა ვიხრჩობი ცრემლთა გუბეში.

ეკვიდა: შარბა, ახალი წელი,—
სად არის წვრილი და ეკლესია?
ოთხმე კოფილა ცოდვები ძველი
რაც მწ-ეკურსცეა დაძითესია.

შეეჩვევია ტანს ანაფორა—
და უნდა დავრჩე აწ მთლად შიშველი.
ლმერთო, განსაცდელს შენ ამაშორე,
მბოლოდ შენ ერთი მე თუ მიშველი.



ანდენი ფიქრით დამეცა დამბლა,
რეკოლიუციამ შემომკრა ტორი.
სად არის ჩემი: საკურთხი, ტაბლა
და დატვირთული ძღვენებით ჯორი.



ჩემს ჯორს სამშილით ამოხდა სული,
ოჯახი სულმთლად გამიპარტახდა;
ო, ქრისტესავით მე ვარ ჯვარცმული,
ვინ ჩამოსთოველს რაც თავს გადახდა

„შარბა"



ფიქრობდა მამა ნიკო,—
სოფელ ნიგორიზღვის მღვდელი:
„ვინ ოვე საშოვარი,
„აწ რა მაქვს სადარდელი!?

„სხვა რა შერჩება კაცსა—
„გარდა: ცხოვრება ტკბილი!
„საკბილო სადაც შეგხდეს,—
„მას უნდა გაჰკრა კბილი".

მრევლიც ნიკოსა სწყალობს:
ესევა ვით ფუტკარი;
შესვლისთვის აღარ ჰყოფნის
ჩვენი საყდროს ოთხი კარი.

ქალებმ ლარეულმა,—
(ქვრივი ნიკო მღვდელი)
იმ ლამეს დიასახლის
მოუფათურა ხელი.

გამოეღვიძა, უთხრა:
„ვინა ხარ?.. აქ რა გინდა?!—
„ასანთს დავეძებ, ქალო,
„და გარეულ გახვლა მინდა".

ქალმა შეჰყვირა: „ვიცი,
„შენ ეხლა რაცა გინდა!
„გატყობ რომ ეშმაკი ხარ
„და არა „სული-წმინდა"



ერთ ღამეს ანდრომ ნიკოს
გაათევინა ღამე...
მეფურად მოასვენა

აწ უნდა გითხრა რამე.

გამოეღვიძა ანდროს,
მოჰკიდა ნიკოს ხელი;
ერთი პანლურის გაკვრით
—მინდორში გარბის მღვდელი.

ნიკომ ბევრს გაუწია
ასეთი სამსახური...
ერთს მის მეზობელს—პრიღას
მოსჭამა ცალი ყური.
ნიკოს მეზობელს—პრიღას
ქალი ჰყავს მშვენიერი.
ალბად ჩვენს ნიკოს სწვავდა
მისი შნო და იერი.
ნიკო მივიდა, ურჩა:
„მე შენ გაკოცო უნდა
„რაც უნდა დამემართოს—
„პრიღასტიმ მომკლას თუნდა“.
და როცა ნიკომ... ამ დროს
გამოჩნდა ქალის ქმარი
გაცოფებული პრიღას
მოვევარდა როგორც ქარი...
შეჰბორკა ნიკო მღვდელი
ენებისგან განახური...
სხვა რომ ვერ შესძლო ნიკომ,—
პრიღას მოსჭამა ყური.
და მიიყვანა პრაღამ
სასამართლოში ნიკო.
„რატომ მოსჭამეთ ყური?
„სთქვით საქმე როგორ იყო?“
ნიკომ იმართლა თავი:
„მე არ მაქვს მაგის შური.
„მიყვარდა, (ეხლაც მიყვარს),
„როგორც მღვდელს გოჭის ყური.
„წამძლია სულმა,—და მეც
„მოვსჭამე ცალი ყური...
„გთხოვთ გამამართლოთ, რადგან
„მე არ მაქვს მაგის შური“.
გადაუწყვიტეს ნიკოს
ოფეთში სწიროს ხშირად...
პრიღასტის ყურის შეჭმა
არ დასჯდომია ძვირად.

ტინტრავა.

დ. ჩიგსატაური

ძნელი არის როცა კაცსა
მიაწყდება რიკზე კუდი;
(ამ შემთხვევას ავადმყოფზე
გაელენა აქვს მეტად ცუდი).
ტკივილს ვეღარ დაიამებს
რამდენიც არ დასცხოს „მაზი“...
ფხანა-ქექვის ქარტეხილში
ადამიანს მოსდის ბრაზი.
აქ ვარესი მოუვიდა
ერთ ჩვენს ნაცნობს „ჭკუის კოლოფს“
კუდის ატირიხინებამ
საქმე უყო ცუდათ ბოლოს...
გახდა მსხვერპლი მწარე ბედის:
„ტარტაროზი“-ს მოხვდა „პიკი“
ისე მაგრად, რომ საცოდავს
მიამტვრია კუდის რიკი.
ამ შემთხვევამ „დონ-ჟუანი“
ააკრემლა—ატირა...
სთქვა: „უკუდოთ აღარ ვარგვარ“—
და სიკვდილი დააპირა
მაგრამ, როგორც ყველა ფლიდებს,
თურმე მას ჰყავს „ბიჭებ-ძმები“
კუდის დამყნას ჰპირდებიან.
(ხალხში დადის ასე ხმები)
კარგად ვიცნობ ამ ვაჟებსაც
ვინ ატარებს როგორ ქუდებს
და ვურჩევ, რომ: სჯობს მიხედონ
თავთავიანთ გრძელ-გრძელ კუდებს!..

წაველა.

ლევარსი როზროზაკე

ბილოცვა

...და დაავლო ტოლუმბაშმა ღვინით სავსე ყანწსა ხელი
და დაიწყო: „მეგობრებო, ვადღეგრძელოთ მასპინძელი...
„თუმც ლევარსი მოგვიხუცდა, კაცი არის მეტად ძველი—
„მაგრამ, აბა, გამოდით,—და ორმა კაცმა ახლეთ ხელი...

„თუ ფოლადი უწინ იყო,—ეხლა არის მაინც რკინა.
ამ სიტყვებმა ჩვენს ლევარსის გულში ჩიტი გაუფრინა...
სიყმაწვილის მოგონებამ თვალების წინ გაურბინა...
თავი ვეღარ შეიკავა,—„ხა-ხა-ხა-ხა“ გაიცინა.

„ჰო-და ასე... ჩვენ ლევარსის მივულოცავთ ახალწელსა...
„ენაცვალოს ჩვენი თავი ჩვენს ლევარსის მოხრილ წელსა...
„ლოცვა მე არ შეხერხება,—და თქვენ ეტყვით მას „რეჩს“
გრძელსა...
„სიცოცხლე და გამარჯვება ჩვენს ლევარსის, მასპინძელსა“

აქა ავბავი იმისა, თუ როგორ „ბაილოცა“ ლევარსიმ ახალი წელი და თუ როდის დაეგადა კირველად ღმერთისადმი უნდოგლოგა

ახალწლის დილა გათეხდა,—ადგა ლევარსის ცოლია.
(მას იმისანა ყოჩაღი მეუღლე სხვა არ ჰყოლია;
არც მეზობლების ქალებში იმას არ ჰყავდა ტოლია)
ყოველგვარ საქმელებითა გააწყო გრძელი სტოლია.

ბეღლიდან გამოიტანა ნამხითვი დიდი გობია;
(დიდი ხნის უხმარობითა მოჰკიდებოდა ობია)
უთხრა:—ლევარსი, გააწყვე; შენ იცი როგორც სჯობია...
„ყოველგვარ „ჩეჩიტებითა“ ეს გობი შესამკობია.

— შენ გენაცვალოს ლევარსი... რად გიხდა ლაპარაკია...
„საუარებელი მე რა მაქვს!? შენი სურვილი რა კია,—
„დეე, მე ვიყო, გენაცვა, შენი მსახური ლაქია“...
დააწყო: საქმელ-სასმელი, ხეხილი ჩიჩილაკია...



ცოცხლათ: გოჭი და ბატკანი და კიდევ სხვა მრავალია...
წავიდა გობით, დალოცა: სახლი, მარანი, ნალია,
მომავალ წელში ექნება მჭად-ღვინის მოსავალია,
რათა მოყვარემ იხაროს და მტერს დაუდგეს თვალია.

ამნაირ ადათ-წესებით დღესაც ამაყობს გურია...
მიდის ლევარსი, თან მისდევს ღორი და ძაღლი მურია.
(უკანასკნელის ჩვენს გმირსა სიყვარული აქვს ძმურია).
რა იცის—თუ სულს ბოროტსა აქვს მისი მტრობა-შურია.

ხელისგულსავით გზა არის, არ არის: ქვა და ძირია.
არ იხედება წინ გზაზე, სიფრთხილე აღარ სჭირია.
(ანდა რად უნდა, როცა მას თან ახლავს ორი გზირია)
მაგრამ კვანტი ჭკა ვილაცამ,—მიწას დაარტყა ცხვირია.



ო. უნამუსო გზირებმა საქმე იკადრეს ავი:
ლორმა იქავე საქმელ'ში ჰკრა თვისი დინგი შაია,
ძაღლს შერცხვა და გაიტაცა მოხარშულ ლორის თავია...
ციდან ღმერთს გადმოეხედა, ჰკითხავდა: „რა ამბავია“?

რისხვით შესძახა ლევარსიმ:—„ეს, ღმერთო, შენი ბრალია.
„ოჰ! ხელ'ში მყავდე, ნეტავი,—განახვო ჩემი ძალია...
„იმდენი გცემო, რომ რბილად გადაგიქცი ძვალია...
„რად არ მოგვეცი ეშმაკის ჩვენ დამნახველი თვალია?!

წამოდგა ზეზე ლევარსი; სტკივა: წელი და მხარია,—
და სახლისაკენ წავიდა... რაღაცა არ უხარია.
ცარიელ გობით მიადგა...
„ქალო, გამიღე ჭარია“
— ჯერ მითხარი: რა მოგაქვს“?
„ქალო, გამიღე კარია“.
— რა მოგაქვს... „კარი გამიღე“...
„რა მოგაქვს? ჯერ მითხარია“
„შენი მოტანა კი ვიცი... ჩქარა გააღე კარია“...
„რა მოგაქვს“?
— ვაი, შენს თავსა; სიკვდილი, თიაქარია...
„გამიღე, თორემ ეს არის,—ჩამოვამტვრიე კარია“.

ზმუკი

მესამე ცოლი

ხათაგალა ერთ მოქმედებათ

მომქმედნი პირნი:

დიმიტრი—50 წლის, პას. მგ. მომუშავე.
ქეთო—20 წლის, მისი „შტატგარეშე“ ცოლი.
ნინო—23 წლის, ზაქსით დაქორწინებული.
მარინე—45 წლის, „ძველი დროის“ ცოლი.
თეკლე—დიმიტრის ასული 17 წლისა.
ვანო—დიმიტრის ვაჟი 15 წლისა.
დათა—შიკრიკი.

დიმიტრის საცხოვრებელი ოთახი, მდიდრულად მორთული.

გამოსვლა პირველი

დიმიტრი და ქეთო

დიმიტრი: ჩემო მშვენიერო, მე ეხლა სამსახურში მივდივარ, ქაღალდებზე ხელს მოვაწერ მხოლოდ და მალე დავბრუნდები. შენ კი მანამდე ტუალეტს შეექეცი.

ქეთო: შენ მუდამ ასე იცი ხოლმე: წახვალ და მერე დაბრუნება აღარ გეღირსება... არა მე არ შემიძლია მარტოდ ცხოვრება.

დიმიტრი: ჩემი სიბერის სიახალბაზრდაევე, ნუ თუ ჩემს ხელში ცუდათ გრძნობ თავს? ხომ ხედავ თავზე გევლები.

ქეთო: მე მინდა: მუდამ ჩემთან იყო.

დიმიტრი: ხომ გახსოვს: ხელზე კოცნას რომ მიპირებდი, როცა მემანქანეთ მიგიღე; ეხლა ქალბატონის ადგილი გიჭირავს და არაფრად აგდებ?

ქეთო: მაშინ გაქირვებულ მდგომარეობაში ვიყავი. დიმიტრი, შენ რომ არ მიგეღე, აუცილებლად ზღვაში დავიხრჩობდი თავს.

დიმიტრი: ეს როგორ შეიძლება, ჩემო ქეთო?! (მიდის, მოხვევს ხელს და ჰკოცნის).

ქეთო: ალერსი ძ შვენიერი იცი, ჩემო დიმიტრი, მაგრამ მარტო მე რომ მეკუთვნოდე და მეტოქე არ მყავდეს მაშინ...

დიმიტრი: შენს მეტს ვის ვეკუთვნი.

ქეთო: მე მითხრეს თითქოს: შენ სოფელში ცოლიც გყავს და შვილებიც; ისიც მითხრეს,—თითქოს იქ რომ მსახურობდი, საქმის მწარმოებელი ქალი შეგერთოს და ზაქსშიც მოგეწეროს ხელი.

დიმიტრი: ხო... ხო... ხო... რაები მოუჩმახავთ!? აბა, ვინ გითხრა შენ ამდენი სიცრუე? მე, ჩემო კარგო, ჩემი ცხოვრება ბრძოლაში გავატარე და, აბა, როდის მეცალა ცოლი შემერთო.

ქეთო: მაშ თუ კი ასეა, აბა რატომ ზაქსში არ მივდივართ?

დიმიტრი: ვერ მოვესწრებით თუ?

ქეთო: კი, მაგრამ, მერე უფრო...

დიმიტრი: კარგი, კარგი, გენაცვალე. მე ეხლა მივდივარ და მალე დავბრუნდები. (გადის).

ქეთო: დავიჯერო უცოლშვილოა? რა ვუყოთ მერე, თუნდაც ჰყავდეს, ეხლა „ახალი კანონით“ შვიდი ცოლის შერთვა შეიძლება... ჰყავდეს თუ ჰყავს... სოფლის ქალი აქანე ხომ არ დაუჯდება მაგას?! თანაც უკვე მოხუცებულიც იქნება... შეიძლება მალეც მოკვდეს; მე კი ყველაფერი დამრჩება. თანამდებობა კარგი აქვს, ფულებს ბლომად იღებს და მეტი რა მინდა? მოხუცებული კაცი და ასეთი გული პატრონი,—აღარ მინახავს—კინაღამ დაიწვა ჩემი სიყვარულით...საწყალი მოხუცი!.. მთელი ღამე გუდასავით გდია. მე რა მენაღვლება. დათიკო კარგად მყავდეს და,—დიმიტრის სიბერე არაფერია.

დათა (შემოდის, ხელში რაღაც შეკრული უჭირავს) ამხანაგო, ეს დიმიტრიმ გამომატანა თქვენთან და დამბარა ორ საათში მოვალო.

სიფრთხილეს თავი



თითქოს ზეციდან რისხვით
ქუჩას დაეცა მეხი.
ხალიცათოა გავლა,—
ამტრვევ ეტლი, ფეხი.

ოჰ, რა ადგენ მოქალაქის
გატყდა ჭეშმარიტი თავი!
რადენს ოფლმეტვრა ცხვირი
და რამდენს ყლაბნო ჭალავი.

ქეთო (გამოართმევს) ეხლა რას შვრება.

დათა: არაფერს, ვილაც ქალს გაყვა რაღაც საქმეზე.

ქეთო: ქალს? როგორი ქალი იყო?

დათა: როგორი და ჩვეულებრივი... ორ ფეხზე დადიოდა.

ქეთო: იმას კი არ გეკითხები, ქალაქის ქალი იყო თუ სოფლის, ხნიერი იყო თუ ახალგაზრდა?

დათა: მაგის რა მოგახსენოთ, მისი ანკეტა მე არ შემივსია.

ქეთო: რა უზრდელი ხარ!

დათა: უზრდელი თუ არ იყო,—არც ცოლიან კაცს აეკიდებოდით.

ქეთო: შენ ვინ გკითხავს მაგას? როგორ გაბედე! მე ეხლავე ვეტყვი დიმიტრის ყველაფერს და სამსახურიდან დაგითხოვს.

დათა: უკაცრავად, ქალბატონო, მე დიმიტრის სრულიადაც არ მეშინია... ის ვინ გგონიათ თქვენ? ის ჩვენი არჩეულია და თუ გამოვეშლებით, მგონია ისე დაენარცხოს, რომ პურის ლუკმაც არ გააჩნდეს.

ქეთო: როგორ ბედავ შენ ასეთებს თქმას დიმიტრის შესახებ?

დათა: ცოტა არ იყოს დაიმოკლეთ ენა, თორემ... (გადის).

ქეთო: არა, ეს ვილაცაა, რა ტუტუცი ვინმე ყოფილა? (აღელვებული დადის). „ვილაც ქალს წაყვაო"... ნეტა, ვინ იყო ის ქალი? (ჩაიცვამს პალტოს) უნდა თვითონვე წავიდე;—იქნებ წავაწყდე სადმე. თუ შეუტყვე, სულ ცივი ცრემლებით ვატირებ (გადის).

დიმიტრი (შემოდის დაღონებული) სად წასულა? ეს პირველია მისგან! (ჯდება) კითხულობს წერილს: „ჩემო დიმიტრი, სიმინდის კაკალი აღარ მაქვს. ბაღნები სულ დაშიშვლდენ. არაფერი არ აცვიათ"... შენი მარინე; შენთან მოვდიფარ, ან რაზეოდი უნდა მომცე, ან და კანონიერად უნდა ვიცხოვროთ... აი, ხათაბალა. (დაფიქრდება) არა უშავს რა... ჯამაგირი ას ოთხმოცდა სამი მანეთი მაქვს... ეხლა კიდევ შომატებას ამბობენ... მერმე ხაგრუზკა, „პროეზდნოი"... ისე აქეთ იქით... თვეში სამას მანეთამდე. თუ 25 მანეთიანი კაცი ცოლშვილს ინახავს—მე რა მაქვს სადარდელი! 20 მანეთს თვეში მარინეს და ბაღნებს გავუგზავნი, დანარჩენი კი აქ გვიყოფა... ნინასთან ხანგამოშვებით მივალ... ქეთოსთან ვიცხოვრებ... შეიძლება ისე შევარიგო ნინო და ქეთო, რომ ორივე ჩემთან ვაცხოვრო.

გამოსვლა მეოთხე

ქეთო: (შემოდის მრისხანედ) მე შენს საძებნელად წამოვედი და შენ კი დაბრუნებულხარ.

დიმიტრი: რა ამბავია? რა იყო?

ქეთო: რა იყო კი არა (დაჯდება) მე შენი ცოლი ვარ თუ არა? ა? ვარ თუ არა?

დიმიტრი: მერე?

ქეთო: როგორ და—შენ თურმე კანონიერი ცოლი გყოლია და მე კი... მე კი ნამუსი... ნამუსი . ამხადე (სტირის).

დიმიტრი (ეალერსება) მე დიდი ხანია მინდა გამემხილა ერთი რამ, მაგრამ ვერ დიბედავდი. აი ეხლა მინდა მოგელაპარაკო და მომისმინე.

ქეთო: მეც ამას მოველოდი. სთქვი! სთქვი! გელოდები!

დიმიტრი: მე მართლა ცოლიანი ვარ, მაგრამ შენც კარგად ხედავ: როგორი გული მაქვს. ქვეყანაზე დაუშვებელი არაფერია. ერთი მითხარი რატომ არ შეიძლება ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდეს?!

ქეთო: ნუ ამბობ, ვიცი რაც უნდა სთქვა, მე არ მინდა „შტატზევით" ცოლი ვიყო. არ მინდა გესმის??

დიმიტრი: ნუ ღელავ... გამიგონე. შენ შტატ გარეშე კი არა, ნამდვილი ცოლი ხარ... მაგრამ მე მყავდა ორი წლის წინად ცოლი, რომელიც ეხლა მთხოვს გაყრას!

ქეთო: მიეცი! დიმიტრი, მიეცი ეხლავე, ჩქარა.

დიმიტრი: კი მივცემ, მაგრამ... მაგრამ... ერთი სიტყვით, მე მინდა ორივე თქვენ... თქვენი რჩენა შემიძლია! შენ რაღა გაქვს საწინააღმდეგო?

ქეთო: არა, არ შემიძლია...

არ სად არ სტკივა



გარე უბანში იყო.
ბუჟმეტჯერ გადაბრუნდა,—
და როგორც იქნა ბოლოს
ის ცენტრში ძლივს დაბრუნდა

და ფიქრობს, არ შემნვდება
შემთხვევა მე აკ ავი
ჩვენ ვეპვობი: სახლში მოელი
მან �nbnb თავი.

გამოსვლა მეხუთე

ნინა: (შემოდის ჩემოდანით) ოხ, ჩემო დიმიტრი (მოეხვევა) კარგ ადგილას მოწყობილხარ (შეხედავს კუთხეში ატუზულ ქეთოს) ეს ვინ აგიყვანია?

დიმიტრი: (გაკვირვებული სდგას) რა იყო? რა ამბავია, გიჟივით რომ შემოვარდი?

ნინა: რაო? გიჟივითო? ხომ არ გინდოდა შემოსვლის ნებართვა მეთხოვა, ბატონო დიმიტრი (მიაგდებს ჩემოდანს და უყურებს ქეთოს) ვინა ხარ, ქალო, შენ?

ქეთო: დიმიტრი, ვინ არის გაგიჟებული ქალი?

დიმიტრი: (ვერაფერს ამბობს, შეჰყურებს ხან ერთს, ხან მეორეს).

ნინო: დედაკაცო, შითხარი ვინ ხარ, თორემ ამ ზონტიკს დაგამტვრევ მაგ თავზე?

ქეთო: დიმიტრი, რას მიპირებ?

დიმიტრი: (აქეთ-იქით) მოიცადეთ, დამშვიდდით. მე მოვნახავ გამოსავალს.

ნინო: (მოჰკიდებს საყელოში ხელს) მითხარი ვინ არის ეს მეთქი! მითხარი, თორემ აქვე დაგახრჩობ.

ქეთო: (წაავლებს ხელს დიმიტრის) დიმიტრი მითხარი ვინ არის აგი ქალი, მითხარი ჩქარა.

დიმიტრი: (ნინოს) ესჩემი ცოლია (ქეთოს) ეს ჩემი ცოლია.

ნინო: ეს არის შენი ცოლი თუ მე? მითხარი ჩქარა.

დიმიტრი: (ხან ერთს, ხან მეორეს) შენ ხარ ჩემი ცოლი... შენ ხარ ჩემი ცოლი!

ნინო და ქეთო (ერთად) ესეც დიმიტრის მეორე ცოლი.

დიმიტრი: დამეხსენით... რა გინდათ... ორივეს გეყოფით... დიდი ჯამაგირი მაქვს... დამშვიდდით.

ხმა გარეთიდან—აქანე სცხოვრობს ამ ოთახში მამათქვენი შვილებო...

გამოსვლა მეექვსე

(შემოდიან **მარინე, თეკლე** და **ვანო**)

მარინე: მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალს გხედავ (გადაეხვევა დიმიტრის).

თეკლე: გამარჯობა, მამავ! (ეხვევა).

ვანო: რატომ დაგვივიწყე, მამავ? (ეხვევა).

დიმიტრი: (თავისთვის) აი, დამიტრიალდა უბედურობა... სხვა რავა ხართ?.. რას შვრებით?

მარინე: ბეჩა, სულს ქე ვათრევთ, მარა შენმა დარდმა მთლად გადაგვრიო; რაი მოგვიდა, რომ ერთხელაც ვერ მოახერხე სახლში მოსვლა?!

ნინო და ქეთო (კუთხეში ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებიან).

მარინე: (დაინახავს ქალებს) უიმე, ჩემი სიკვდილი, სტუმრები ყოფილა და ვერც კი შევამჩნიე. (იმათ) დაბრძანდით, ბატონებო... მე გამოჩერჩეტებულმა ვერც კი დაგინახეთ... დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე. ასე კი არ უნდა სტუმართან, მარა ჯერე არაფერის ქკუა-გონება არ მაქვს.

ქეთო: (მიდის დიმიტრისთან) ერთი ამიხსენი ეს ქალი ვინლაა?

დიმიტრი: დაიცადე... დაწყნარდი.

ნინო: მე შენ გელაპარაკები. ეხლავე გაყარე აქედან ეს შენი დედაკაცები და ისე იცხოვრე როგორც წესია, თორემ წამოვაგლეჯ ხელს და მტვერივით გავხდი აქაურობას.

მარინე: უიმე, თვალები კი დამევსოს, ეგენი ვინ არიან დიმიტრი, რომ ასე იმუქრებიან?!

ნინო: შენ ვინ ხარ დედაკაცო?

მარინე: ხომ არ გადირიე, დაია? მე ჩემ ქმართან მევედი... შენ რა გინდა აქანე?

ქეთო: ვინ არის შენი ქმარი, შე არამზადავ?

ნინო (ქეთოს) შენ რა გინდა მერე? შენ რომ დიმიტრისთან ცხოვრობ, გგონია: შენ გეკუთვნის იგი? მეც კი მიცხოვრია წელიწადი დიმიტრისთან... მეც მაქვს უფლება...

მარინე: დიმიტრი, რას ამბობენ აი დედაკაცები?! შეშლილები ხომ არ არიან?

დიმიტრი: (აღარ იცის რა ქნას) არა, ესენი ხუმრობენ. ქალაქის ადგილას ასე იციან...

ქეთო და ნინო (ერთად) ესეც დიმიტრის მესამე ცოლი!

მარინე: უიმე, ჩემი სიკვდილი... მე ვარ მესამე ცოლი?! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს (წამოაგლეჯს ხელს სკამს).

პ. ობოლი.

ანგარიში

ზოგიერთი იტყვის, რომ: ბევრ ფულს მეტი ანგარიში უნდაო.

სულ ტყუილია; თურმე ცოტას მეტი ანგარიში სდომებია.

ვისაც ჩემოდენა ჯამაგირი აქვს, იგი თვითონ მიხვდება ამ ჭეშმარიტებას.

მე ვმსახურებ შიკრიკად; თვეში ვღებულობ 24 მანეთს.

ჯამაგირის მიღებისას მე და ჩემი ცოლი გაცხარებულ ანგარიშში ვართ.

ჩვენი კამათის პირველი საკითხია: **კუჭკომის საკითხი** ე. ი. სმა-ჭამა; შემდეგ: ფეჩი, შეშა, თბილი შესამოსი

ბოლოს უფრო პატიოსანი და კეთილშობლიური აზრი მომივიდა თავში:

ტრამვაის აბონიმენტებს, რომლებიც თვეში ორჯერ მეძლევა, ყაირათს გაუწევ, არ დავხარჯავ; რამოდენიმე თვის განმავლობაში ბლომად დავაგროვებ და ამ ფულით ერთ ვირს ვიყიდი მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

მოვაგროვე თორმეტი მანეთი, და ერთი ჯაგლაგი ვირი ვიყიდე... ვფიქრობდი: აბონემენტის ფული ჯიბეში დამრჩება; ამ ვირით ვივლი ყველგან-მეთქი.



მიჰქროდენ ავტოთი და ეტლებით. მე მიმა იქჩიქებდა ჩემი ვირი სამსახურში.

მოაწვენ კანიდან, მაგრამ შენც არ მო იკვიდე

და მიმდინარე ანგარიშები, როგორიც არის: ნავთი, ასანთი, საპონი, ლილა და სხვა ასეთები.

ვანგარიშობთ, ვანგარიშობთ,—და არაფერი გამოდის.

ბოლოს თავზე მეპურე და სხვა მევალეები წამოგვადგებიან და იმ ფულს, რომელზედაც ჩვენ კამათი გვქონდა გამართული, წაიღებენ; ჩვენ

ვაჰ! ჩემო თავო, მართლა შე ვირისთავო, ვირს საჭმელი რომ უნდოდა,—ის კი აღარ გამახსენდა. ვირიც ხარჯთაღრიცხვაში შემექნა შესატანი.

მაგრამ მაინც მიხაროდა მისი ყიდვა, და ღასამტკიცებლად მისი პატიოსანებისა და სიყვარულისა, იგი იმ ღამეს სახლში დავაბი.

შუაღამე ქნებოდა, როცა ჩემმა ვი-

ისე ოჰკურცხლა, რომ ჩვენი ბამგის ავტო უკან ჩამოოვა.

ვრჩებით ხახამშრალი და ჩვენი ხარჯთაღრიცხვა, იძულებული ვართ გადავიტანოთ მომავალი თვის ფონდში.

სხვა სახსარი რომ არ გამომჩნდა, გადავსწყვიტე მიმებაძა „დიდკაცებისათვის",—და ფული გამეფლანგა; მაგრამ რა ჯანაბა გამეფლანგა, როცა პაკეტების მეტი მე არაფერი მაბარია!

დიოდა, რომ კაცს ეგონებოდა: რუსთველის პროსპექტზე უსაქმოდ მოსეირნე ვაჟ-ქალბატონებს ჰბაძავსო.

მიჰქროდენ ავტოთი და ეტლებით. მეც მიმაჩიქჩიქებდა ჩემი ვირი სამსახურში.

პაკეტები მომცეს დასარიგებლად.

შევსხედი ვირზე,—და როგორც კი პირი ჩვენი სახლის მიმართულებით ვაქნევინე, ისე მოჰკურცხლ· რომ ჩვენი გამგის ავტო უკან ჩამოტოვა.

მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩემი ვირით და ძალიანაც მიხაროდა.

თურმე რა ძალიან გულადი ყოფილა ჩემი ვირი.

მეორე ღღეს ისევ სამსახურში წავედი. როგორც კი ეზოს გამოვშორდი,—ჩემმა ვირმა გაფიცვა გამოაცხადა: ფეხს აღარ სდგამს. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

მოაწვენ უკანიდან, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

მომაგონდა, რომ ასეთ დროს წიწაკა უებარი წამალია. გავიქეცი დუქნისაკენ, ჩამოვსწყვიტე წიწაკა და გამოვიქეცი.

გამომედევნა მედუქნე. დაუძახა მილიციონერს... შეიქნა ფშტვენა...

დამაპატიმრეს და წამიყვანეს.

ჩემივე ვირით მიმიყვანეს ვირის აბრეში.

ეხლა ვიცი, ჩემი ცოლი მშიერია; ცოლი მეცოდება, თორემ თუ ვირი მოკვდება სიმშილით, ახია მაზე: რაც მე დამემართა, სულ მისი ბრალია.

მ. მეჯვრისხეველი.

ღრმად დამფუძნებული ცხუნკურის თემის (ქუთაისის მაზრა) გლეხობა აუწყებს თავის ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მან დაჰკარგა თავისი საყვარელი და დაუვიწყარი

სახალხო სახლის ასაშენებელი ხე-ტყე

რომელიც ტრაღიკულად გარდაი ვალა თემის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

ამოსვენება მოხდება აღმ. თავმჯდომარის საკუთარ სახლიდან.

„შიხ ლინხკი ბომბა“ (ფარცხანაყანები)

ფარცხანაყანებს ვინც ეწევა
„იარმარკას“-ს ნახავს.
გრძელ წვერიან „პავლოვიჩსაც“
ყველა დაინახავს.

და ეს წვერიანი „პავლოვიჩი“ როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, უხდა იყოს ვასილი, რომელსაც ადგილობრივ „გლეხების ტყავი“ გაუქაფავს, (საპირით კი არა,—არამედ ბიუთვისებია).

ერთად-ერთი საშუალება შემდეგია: ვასილის ტყავი თუ გამოგადგებათ (თუ გინდ საქალამნეთ) გაატყავეთ, მით უმეტეს მელიას ტყავი მეტს ფასობს ვიდრე სხვა.

ნ. ემსიხ (ოზურგეთი) იწერებით:

ნილიცი ლებს რა გვერჩი,
ისეც არ გვწყალობს ბედია;
ერთი აგენტი ჩვენს ხალხზე
ოისთვი ვერ გაგიმეტია.

ალბად, ტარტაროზ, შენ გახ ოვს
ოთ თვალა ამაღლობელი.
რომელსაც ყველა უყვარდა,
ნაცნობი და მახლობელი.

თუ ავათმყოფს მილ ციელს
ურჩევია „სხვისი შურა“
მასეთ მკურნალს დაშვენდება:
გამსახლი, პროკურატურა...

სრული ჭეშმარიტებაა... დაშვენდ ბა და მერე როგორ იცით?!—როგორ? არავის... გასახლის გზა არ აეგბიეა, რადგან ოთხი თვალი ჰქონებია და კარგად დაინახავს.

მაყურებელს (ხესტაფონი) ძალიან გაუბრაზებიხართ მოქიფეებს... ალბათ იფიტომ რომ თქვენ მხოლოდ შორიდან მაყურებელი იყავით, და არა ონ-წილე. რა ვუყოთ... თქვენს ქუჩაზედა ? იქნება დღესასწაული.

ბაჩი-კაკას. (აქ). ვაუკაკი კაკი ხართ, და თაგვი როგორ გაგიტაცებდა... ყოველ შმ თხვევაში—არ უნდა დანებებოდით...

ეს ამბავი მოხდარა კინო „პალას“-ში. გილოცავთ გადარჩენას; საკვირველია: წერილს რატომ უწოდეთ: **„უეცარი კატასტროფა“?** აკი ცოცხალი გადასულხართ?

ერიდეთ კინო-თეატრებს, თორემ ჯერ ის თაგვებიც შემოგეჩვევიან.

ალიოშა ხრესილელს (ქუთაისი) თქვენს ოჯახურ ცხოვრების შესახებ, გვწერთ:

ძმაო, ქალი გამექცა.
(არ მაქვს მისი მადლია).

ენა ჰქონდა მას გრძელი
სწორედ ოთხი ადლია.

ვენ ცვალე, კარგი
ენგონებათ სარია.
ყველა ქალ ბს მირჩევნის
ის ჩემი კესარია.

ჯანი მთელი მაქვ,
სული მაქ ს ხოცი;
წლოვანებით ვარ
ასე,—ოთხმოცი.

თქვენ კიდევ „ქალის შერთვა“ გინდათ... ნუ თუ არ გაიგიგონიათ: ოთხმოცი წლის ბებია, ვეღარ გათხოვდებია. ეს ანდაზა ბაბუებზედაკ არის თქმული.

თქვენ ქალი იფიტომ გაგექცათ, რო ოთხმოცი წლის ყოფილხართ...

კიდევ ბაჩი-კაკას (აქ.)

„ანდრიას ქუჩაზე, შეშის საწყობში ხალხს ა ყენილებენ. მართალი სა წორი არა აქვთ, ფ თის ნაცვლად იძლევიან ოცდაათ გრივანქას“.

საინტერესოა ათი გირვანქა სიგარეტის გაზომვა, თუ რამოდენაა იგი. კარგი იქნ ბოდა მილიციაში გამოგეგზავნეთ ეს საინტერესო ამბავი.

მცივანა ინჟინერი

ქუთაისის საქსოვ ქარხნის ინჟინერი საპირო საქმეების დროს ძნელი სანახავია. როგორც გამოირკვა, ამ დროს იგი ღუმელთან ზიხ და ც ცხლის პირას არხეინათ ხძინავს.

„წყალ-ფულ-დიდობა“

„ევროპის მრავალ ხან ლენინგრადში დაიწყო წყალდიდობა, რომელიც ანადგურებს მრავალ ქალაქებს და სოფლებს“.
ბუდაპეშტში და ბერლინში ჩნდებიან ყალბი „ტერლინყები“ და „ფრანკები“.
ამ ხაჭის ხელმძღვანელობენ ხანელმწიფო მოღვაწეები.



არის კრიზისი ყველგან,
ხარჯებს არ ჰყოფნის ფული.
ვერ ითმენს სილარიბეს
მინისტრთ და პრინცთა გული

ვით ნიაღვარში, ეხლა
ევროპა სცურავს „ფულში“.
ვინ შეედრება იმათს
ერთ-ერთის სიყვარულში.

ჯაიზარს (შანდიკორი, ქუჯ. ძაზრა. ორპირის თემი). თქვენ გვწერთ, რომ მახდ ძალიან გახშირებული ყოფილა ფულზე კარტის თამაში, რასაც ყოველთვის ჩხუბი და „დაჭა-დაჭა“ დასდევს.

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ დაჭ-ჭაც თამა ია! (უცხოელები ამ თამაშს ბოქს ეძახიან). ჩვენ მათ ვერ გადავაჩვევთ... შეი ლება ისევ „დაჭ-ჭა-დაჭა“-მ გადააჩვიოს კარტის თამაშს.

ტუშის (გამოჩინებულის თემი სანდროს შესახებ თქვენ გვწერთ, (თუმცალა ეს დამჟავებული ამბავია): აჯანყები დროს იგი დაიმალა... ბოლოს გამოძვრა... და დიდ კაცად მოევლინა ეხლა... თა ისი მოხსენება ავ გაათა ა:

„გაუპარჯოს მებრძოლ კომუნ რ ბს“.

მოქ. ტუში! მართალი უთქვამს სარდროს. ხუ გეშინიათ, მას თავისთავისთვის არ შეუსხამს ხოტბა.

კბილის მატლი (ფოთი).

. . . . .

სამსონს, ვანაჩკას გაიცნობთ,
ყოველდღე რომ ჰყავთ მთვრალები.
წყალ-ღვინოს ძვირად ჰყ დიან,
დაპრაწული აქვთ თვალები.

ვერ ყოფილარ ან კარგი მსმელები ფოთში, თუ კი წყალ-ღვინოთ ითვრებიან .. ა ბა, რომ თავი დავა ბოთ, ვერ ყოფილა კარგი ჭკუის პატრონი, რადგან წყალ ღვინოს ერთმა ეთში ვერ ა ჩეკ ... და ამის ემდეგ, თუ „სამსონ და ვა ჩკას“ დაპრა ულ ა აქვთ თვალები, რა გასაკვირველია?!.. ახია.... კურტანი.

ოთხწლედ სკოლას ინახულებ,
გამგე არის ალიქსანდრე.
იგი ცემით მოკლავს ბავშვებს,
თუ არ მოდი ჩვენში ადრე.

—:—

ტელეგრამა.

წამოვედი.

ტარტაროზი

საქართ. პროფკავშირების საბჭოს, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის და საქარ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდის ყოველდღიურად რვა გვერდი.

აქვს ყოველკვირეული უფასო დამატება იუმორისტ. ჟურნალ

ტარტაროზი

თვიური ხელისმოწერლები იანვარში, ვინც ხელისმოწერის ფულს თავიდან წარმოადგენს მიიღებს

უ ფ ა ს ო თ

უცხო სიტყვათა ლექსიკონს

გაზეთის ფასი

	1 თვ.	3 თვ.	6 თვ.	1 წლ.
მუშებისა და გლეხებისითვის	70 კ.	2 მან.	4 მან.	7 მ. 50 კ.
დანარჩენთათვის	85 კ.	2-40 კ.	4-80 კ.	9 — 70 კ.

„ხოლ—სამს“ (აქ არსეხალის ქუჩა №)... მეეზოვე ზაქროს შესახებ თქვენ გვწერთ:

ოქროულის ნიკოფულმა
აუბრალეინა თვალი ზაქროს.
ეხლა მხოლოდ იმას ფიქრობს:
თ[illegible] ივთები სად გააქროს.

მაგრამ მისდაუ[illegible] ბურად
[illegible]მ ს ოთახში ცოცხი დარჩა
და ამიტომაც წაემწარა
მო არული[illegible] ჩითი ფარჩა.

თავისი გასაცოცხალი ცოცხი ოთახშიავე დაუტოვებია... რას ერჩით! აიღეთ ეს ცოცხი და გაცოცხეთ თქვენს ეზოდან. ჯერჯერობით სხვა რეცეპტის მოცემა არ შეგვიძლია.

მასაჯირს (დ. სვირი) შევიღეთ თქვენი მოპატიჟების ბარათი:

პირველად მოდი სადგუ[illegible]ში,
უთხარი კოლიასაო;
მუდამ დღე-ღამე რ.ს წვალობ
[illegible] რისთვის იკლ-ვ თავსა.

. . . . . .
. . . . . .

პა[illegible]ხად ალბად ი[illegible]ღებ:
მე მივანდ[illegible]ი გრიშასო,
თუ[illegible]ცა [illegible] ვწვალობთ ორივე,
მაგრამ. . [illegible]ერა[illegible] გვიშავსო.

შ მოგიყვირებს, დაგიბღვერს,
დაგიბაკუნებ ფეჩებსო...
ჩვენ გვეშინ[illegible]ა ტარტაროზ,
ცუდ რაჰეს მოგვიხერხებსო.

. . . . . .

ნატა[illegible]ა გეტყვის: „ტყვილია
რაც [illegible]ოგონეს გრიშასო“.
შვილებს იფიცებს იმ წუთში
და თავს დაახლის ქვიშასო

ჩ[illegible]ოდი, ბ[illegible]ძი, ჩ[illegible]ოდი,
ფეშქეშად მოგცემ ხუთ ძღვენსო,
ხუცებით და ნახ[illegible]ცრებით
მთლად ამოგივსებ მუცელსო.

თუ კი ძართლაც ასე საჭიროა ჩვენი ჩამოსვლა, ჩვენ მზად ვართ და მით უფრო თუ ძღვნად ამდენ „წმიდანებს“ [illegible]ოგვართმევთ.

ღღეის სწორს ამ დროზე ჩამოვალ.

„სისხლის“ „ნაგორ“ ზღვა“

ორშაბათ დილა თენდება
რა ავი დარი დგებ[illegible]ა.
ხიგოზღვის ფალავახდები
საომრად ემზადებაო

ნოე ღვინოსა გადაჭრავს,
იმ წა სვე მაგრად თვრებაო:
სადღაც ბოსელში; თუ სახლში
ნაჯახისათვის ძვრებაო.

აძას ხესტორი გაიგებს
და ნოეს ემუქრებაო
ისე დაგზილავს მაგრადა,
რომ სული გაგიქრებაო.

ნოე ნაჯახით გაძორბის.
ნესტორი სარით ხვდებაო.

ერთმანეთს ზორის ა[illegible]
სასტიკი ბრძოლა ხდებაო.

მათ უკვერიან მაყრები.
ბველა სი[illegible]ილით [illegible]ა;
„აბა, როგელიც აჯობებს
ვაკაციც ის იქნებაო“.

ეჯახებიან, და ნოე
ნესტ[illegible]ირას ქვეშ [illegible]ოჰყვებაო;

მაგრამ წყ[illegible]ული ნაჯახით
ნესტორას თით[illegible]ი წყდებაო;

[illegible]ერი ბარჯვენ ხ[illegible]ლისა
არ[illegible]ივსა ჩაბარდებაო
(თუმც არ[illegible]ივაძდი [illegible]ჯ[illegible]რ იგი
ხიწაზ [illegible]ა[illegible]ბარდებაო)

აძას ბიჭიკო გაიგებს
ნოეკენ გაიქ[illegible]ვაო
და ახლის ყოელა ხორაგი
თავდაღმა წაიტ[illegible]ვაო.

ხოე ბეიტყობს ამ ამბავს,
ბიჭი ოს ეუბნებაო:
—ჩ[illegible]ბ[illegible]ათლია რა მოხენ,
ვიხ [illegible]ოგაცა ამის ნებაო?!

სირაფთით ეს [illegible]ომ გაიგო
სოფ[illegible]ლში იკვიხებაო.
—ჩ[illegible]ბ[illegible]ბ[illegible] ბ[illegible]ბ[illegible] საესებით
მამა [illegible]ემსგავსებაო.

ძმაო ტარტაროზ, ა ეთი
ჩვ[illegible]ში ხშირ—ხ[illegible]ირად ხ[illegible]ებაო.
ზ[illegible]ხი ჩ[illegible]ალი ა[illegible]ეთებს
ძალიან ბ[illegible]ოუხდ[illegible]ბაო.

სიტო

გათოვი

[illegible]არე-მარე დათოვა,
გამიყინა ხელები.
ტანზე არავინ მათხოვა,
შინ მოვსძებნე ძველები.
აქ. ქუჩაში დადიან
მარტო კაბის ამარა.
ეოთმანეთს გადაბმიან
თედორე და თამარა.
ხან მზეც გამოიხედავს,
გაბრწყინდება გორები.
ქეთო დასუსტებულა
მთელ ღამეს ნაგორები.
დათა, სოსო, ვახტანგი
იხრჩვებიან ღვინოში.
პავლემ ნინას პერანგი
შემოგლიჯა კინოში.
ააღელვა სურათმა;
ვაჟს ჰკოცნიდა ქალია,—
და თუ მან ქალს აკოცა
ეს რა მისი ბრალია.

პ. ობოლი.



საექიმო ექიმი

ხარაგოულის კბილის ექიმს ოიხვედს ასე ახასიათებს ყ—ძე:

ავადმყოფი:—ექიმო მიშველე, კბილის ტკივილი მკლავს!

ექიმი:—ჩტო... ჩტო... ნიჩოგო... ნიჩოგო.

ავადმყოფი:—ექიმო, მოვკვდი, ღრანჭი მომძვრა! არ დავეძებ ასე იყოს.

ექიმი:—ეტო ტაკ ნუენო!

— კბილს ხშირად ნახევარი ღრანჭიც ამოჰყვება.

ადამიანს ლოყაზე აჩნდება თვითმშრომელ-ხელოსანთა კავშირის ბეჭდისოდენი ჭრილობა“!

ამგვარად ამ „ექიმმა“ ნახევარი ხალხი დაასახიჩრა“.

ექიმი ოიხვედი კბილს აძრობს, ხოლო ავადმყოფს ყბილი სტკივა!

რა ეშველება?

მოდი უმტკივნეულოდ ამოვაძროთ ხარაგოულიდან თვით ეს ექიმი და კბილის კურსებზე გავაგზავნოთ სნეული ცოდნის საექიმოთ.

„უცხო“ სტუმარი!

„ტარტაროზის ძმა“ უცნაურ ამბავს იწერება ხაშურიდან:

„ბაშურის სახალხო სასამართლოში ნოემბრის შუა რიცხვებში გამოცხადდა სიცივეთა მეფე და სასამართლოს თავმჯდომარეს უბრძანა დაუყოვნებლივ დაეცალა მისთვის დარბაზი და კანცელარია. გაჩაღდა ბრძოლა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ როგორც მოსამართლე და მისი თანამშრომლები, ისე დამსწრე მოწმენი, მომჩივარ-მოპასუხენი. სუსტდება ბრძოლაში სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ძლიერდება და ძალას იკრეფს სიცივეთა მეფე“.

ჩვენ ვფიქრობთ, სიცივეთა მეფესთან შებრძოლებას ამ შუა ზამთარში დრო და პირობები არ შეუწყობს ხელს. კაოგი იქნება ხაშურის სასამართლოს თავმჯდომარე ამ ბრძოლა მაისის ან ივნისის დამდეგისათვის გადაიტანდეს.

ა ქ ნ ა ხ ა ვ თ

ბათომის საყუდის შესახებ „სიმართლის მოყვარული“ გვწერს:

„აქ ნახავთ ადეიშვილსა,
უფროსსა მუშას საყუდის.
მუშებზე კარგა მოპყრობა
ამას ფიქრადაც არ მოდის.
მას შეუყვარდა პურ-ღვინო,
ქელიხი უფასურია—
თუ მუშა ღვინოს არ ასმევს—
ის არის მისი მტერია!“.

ჩვენ არ ვიცით რა ქეიფის გუნებაზე აყენებს ასეთი მოქეიფე უფროსი მუშა საყუდის უფროსს. ის კი ვიცით, რომ ქრთამის აღება თუნდა „ნატურით“ საბჭოთა ჯარაბადინში არ წერია. თუ ვცდებით—წაიკითხოს ამის შესახებ საყუდის უფროსმა თავისი თვალებით.

აი, საოცრება

ახალი ამბავი! უცხაური ამბავი!
„შ. შხამის“ სიტყვით თურმე:

„ჯუმათის კუთხის
სკოლის გამგეთ არს ელიხო
სკოლისთვის სულ არ სცალია,
ტურფა ქალებში მღერისო“!

მღერია და ისიც ტურფა ქალებში!
როდის, სად გაგონილა ასეთი ამბავი?
ჭეშმარიტად „ალმაშფოთებელია“ ეს მოვლენა და „შ.შხამიც“ „სამართლიანად“ ალაშფოთებია, თუმცა ტარტაროზი მაინც ფიქრობს:

„ტურფა ქალებში თუ მღერის
მასწავლებელი ელისო,—
თვითონ ეს „შხამი“ იქ იმ დროს
კარებთან რაღას ელისო?
სიმღერა მართლა კარგია,
წერაც კარგია, ძამია—
მაგრამ არც ძლიერ ტკბილია
ჰორიკანობის შხამია!

მისაბაძი მაგალითი

თელავიდან „ქოთაო“ გვატყობინებს:

„მაწანწარა ჩვენი ქალაქის განაპირა უბანია. ამ უბანს ჩვენი კომუნალური მეურნეობის განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს:

მან ოთხი ნავი შეუკვეთა უკვე მაწანწარას უბანში ტლაპოში საცურაოთ“.

თელავში ნაოსნობის განვითარებას, რომ ასეთი სერიოზული ყურადღება ექცევა, მეტად სასიხარულოა.

რა მდგომარეობაშია ხაშურის მე-9 შრომის სკოლა?

ამ კითხვაზე პოეტური „მოხაზულობით“ გვიპასუხებს „ამირანი, რომლის ლექსს ავტორის მართლწერით ვა თავსებთ:

ერთხელ პირველმა შრომიხ სკოლამ იბარტყა და-ა-ა...
მესამე შრომის სკოლა დაქარა...
ნაყარმა თავი ზევით აყარა:...
ომისთანა ადგილს დამყარდა,
ხადაც თურმე წყლის კრანტი იმავე დროს გამტყდარა.
არც ამას იქით გაკეთდება, თუ ხმა არავინ გასცა...
ამის გაგონებაზე მკითხველო... დაიჭვეხე თუ
სიცილი წაგსკდა...
უწყლობით მოსწავლენი
პირს აღებენ როგორც შაშვები;
ვისაც გევალება ნუ თუ აქამდე რას შვრები?..
ორი დარაჯი წყლის ზიდვას ვერ აუდის ვედრით,
იქავე გაფუჭებული კრანტი აუუდებულა გვერდით;
ერთი ბოჭკა ვიშოვეთ, ვაი ამის შოვნას;
ჰატარა ბლაკენი ამ ზამთარში....
დაიწყებენ ცურვით ვარჯიშობას...

ამირანი.

„ზმინდა“ ხელოგბა

ბუბის თემიდგან გვატყობინებს „სანსალა“:

„ბუბის თემში გადავედი
სულ ორი-სამი წელია;
ალმასკომს თვალუურს ვადევნებ,—
წესრიგი მშვენიერია.
მხოლოდ ქუჩებში ქურდები
დაცოცავს როგორც მელია
დამჯდარ დედლებს იპარვენ,
ხორცი აქვს გემრიელია“.

წესრიგი მართლაც „მშვენიერი“ ყოფილა ბუბის თემში, თუ ქურდები ქუჩაში დაცოცავენ. მაგრამ უწესრიგობათ მიგვაჩნია „დამჯდარი დედლების“ მოპარვა; ჯერ ხელი აუქნიონ, ააფრინონ და შემდეგ მოიპაროონ, თორემ მამლებს გული მოსდისთ:—რაკი ჯდომა არ შეგვიძლია გუბელი ქურდები ყურადღებას აღარ გვაქცევენო! ბუბის თემალმასკომო— ეცადეთ მათ მდგომარეობაში!

„ქრისტეს და ეკლესიის მსხვერპლნი"

ბეგია, აკი შენ ამგოგდი, რომ ქრისტე მეტათ ძეთილი კაცი იყო...
ხედავ რაჯდენი საწყალი ლოგრები და ცხვრები დაუკლეს!..

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კიბოს ქ., 68.